




მედიაცულბრედინგი
კომპანია

პროგრამა 3

საქართველო საქართველო

2024



სარჩევი

1. შესავალი	3
1.1. მიკრობანკის მენეჯმენტის განცხადება.....	3
1.2. მიკრობანკის ისტორია, არსებული მომსახურებები და სტრატეგიული გეგმები	3
2. მიკრობანკის მფლობელობითი სტრუქტურა და კორპორაციული მართვა.....	5
2.1. მიკრობანკის აქციონერები	5
2.2. კორპორაციული მართვა.....	5
2.2.1. აქციონერთა საერთო კრება	6
2.2.2. სამეთვალყურეო საბჭო	6
2.2.3. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები	10
2.3. დირექტორატი	11
3. რისკების მართვა	13
3.1. ეთიკის კოდექსი (რისკის კულტურის კომუნიკაციის, შემცირებისა და აღსრულების საშუალება)	20
4. კაპიტალის ძირითადი მაჩვენებლები.....	22
5. ანაზღაურების პოლიტიკა	23
6. ორგანიზაციული კულტურა და ფასეულობები	25
7. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხები	27

1. შესავალი

1.1. მიკრობანკის მენეჯმენტის განცხადება

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის № 110/04 ბრძანებით დამტკიცებული „მიკრობანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის“, მოქმედი მარეგულირებელი მოთხოვნებისა და ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად. მიკრობანკის დირექტორატი ადასტურებს, რომ წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით და მასში ასახული ყველა მონაცემი/ინფორმაცია სრული, ზუსტი და უტყუარია.

1.2. მიკრობანკის ისტორია, არსებული მომსახურებები და სტრატეგიული გეგმები

ბაზარზე 12-წლიანი წარმატებული ოპერირების შემდეგ, ემბისი საქართველოში პირველი მიკრობანკი გახდა. 2024 წლის 5 დეკემბერს კომპანიამ ეროვნული ბანკისგან მიკრობანკის ლიცენზია მიიღო და ამით სათავე დაუდო ქვეყანაში ახალი ტიპის საფინანსო ინსტიტუტების - მიკრობანკების განვითარებას.

საქართველოს მასშტაბით არსებული 17 სერვისცენტრი, 119.5 მილიონი ლარის წმინდა პორტფელი, 145 მილიონი ლარის აქტივები და 180 ათასზე მეტი მომხმარებელი - აღნიშნული შედეგებით ემბისი განვითარების ახალ ეტაპზე გადადის და სულ მალე მომხმარებელს კიდევ უფრო დახვეწილ და მრავალფეროვან ფინანსურ გადაწყვეტილებებს შესთავაზებს.

მიკრობანკის სტატუსის მოპოვებასთან ერთად, ემბისის დაკრედიტების მაქსიმალური ლიმიტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 1 მილიონ ლარს მიაღწევს. კომპანიის უმთავრესი ინტერესის სფერო კი მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტება იქნება.

ემბისის მთავარი კონკურენტული უპირატესობა მცირე და საშუალო ბიზნესზე მორგებული შეთავაზებები და განახლებული პროცედურებია, რაც აღნიშნულ სეგმენტს ფინანსურ რესურსებზე წვდომას გაუმარტივებს და საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

მიკრობანკის ლიცენზიის მიღების გარდა, 2024 წელი ემბისისთვის სხვა მხრივაც მნიშვნელოვანი გახლდათ. კომპანიამ საქართველოს საფონდო ბირჟაზე 30 მილიონი ლარის მოცულობის ორწლიანი ობლიგაციები განათავსა, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ემბისის მიერ განხორციელებული მეორე ემისიაა. ასევე, 2024 წლის მიწურულს, მიუხედავად ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა, წამყვანმა ევროპულმა სარეიტინგო სააგენტო Scope Rating-მა ემბისის საკრედიტო რეიტინგი B პოზიტიურიდან B+ სტაბილურამდე (B+ Stable) გაზარდა, რაც კომპანიის სტაბილურობისა და სანდოობის კიდევ ერთი დასტურია. მნიშვნელოვანია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან წარმატებული თანამშრომლობაც - 2024 წლის განმავლობაში უცხოური საინვესტიციო ფონდებიდან ემბისიმ 50 მილიონ ლარამდე ინვესტიცია მოიზიდა.

2024 წელს კომპანია კვლავ აქტიურად აგრძელებდა მუშაობას კორპორაციული მდგრადობის გაძლიერების მიმართულებით. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ახალგაზრდების მხარდაჭერასა და მათი ფინანსური განათლების ხელშეწყობაზე, სოციალური საწარმოების განვითარებაზე, ასევე თანამშრომელთა კორპორაციული მოხალისეობის წახალისებაზე. საბანკო ტრანსფორმაციის პროცესში დაგეგმილია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი

(ESG) რისკების მართვის სისტემის დანერგვა და მისი სრული ინტეგრირება კომპანიის რისკების მართვის საერთო ჩარჩოში.

გასული წელი საკვანძო იყო ემბისისთვის მიკრობანკად ტრანსფორმაციის მოსამზადებელ ეტაპზე. კომპანიამ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განახლების მიმართულებით, რაც აუცილებელი წინაპირობაა მომხმარებლისთვის თანამედროვე საბანკო სერვისების შეთავაზების უზრუნველსაყოფად. 2024 წლის ბოლოს დაიწყო მომხმარებლებისთვის მიმდინარე ანგარიშების გახსნის პროცესიც. ამ ეტაპზე კი კომპანია აქტიურად მუშაობს, რათა უახლოეს მომავალში ბაზარს შესთავაზოს ინოვაციური ფინანსური პროდუქტები.

მიკრობანკად ტრანსფორმაციის პროცესი 2025 წელსაც გაგრძელდება.

2. მიკრობანკის მფლობელობითი სტრუქტურა და კორპორაციული მართვა

2.1. მიკრობანკის აქციონერები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიკრობანკის ჩვეულებრივი აქციები გადანაწილებულია შემდეგ აქციონერთა შორის, შემდეგი წილობრივი ოდენობით:

აქციონერი	წილობრივი მონაწილეობა
გია პეტრიაშვილი	31.8%
ოთარ რუხაძე	14.4%
მურმან ამბროლაძე	8.0%
თენგიზ მაზიაშვილი	9.3%
ტარას ნიჟარაძე	8.3%
გოდერძი მელაძე	6.7%
გიორგი გოთოშია	6.7%
გიორგი ვაჩნაძე	5.5%
შპს „ჯეიბი“	2.7%
გიორგი ღვალაძე	2%
ეთერი ჩაჩიბაია	2%
თათია ჯაჯანაშვილი	1.5%
ნინო ღვდარიანი	1.4%

2.2. კორპორაციული მართვა

ემბისის, როგორც მიკრობანკის, კორპორაციული მართვის სისტემა სრულად შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის ბრძანებით №112/04 დამტკიცებულ „მიკრობანკების კორპორაციული მართვის კოდექსის“ მოთხოვნებს, საერთაშორისო სტანდარტებს, პრინციპებსა და საუკეთესო პრაქტიკას. კომპანიის ეფექტიანი ფუნქციონირება უზრუნველყოფილია მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურით, რომელიც მოიცავს:

- პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებას;
- ანგარიშვალდებულებებისა და უფლებამოსილების სწორ დელეგირებას;
- ჯანსაღ ადმინისტრირებას;
- რისკების ეფექტიან იდენტიფიცირებას, მართვასა და ანგარიშგებას;
- ადეკვატურ შიდა კონტროლს;
- ფინანსურ დაგეგმვასა და ანგარიშგებას;
- შესაბამის პოლიტიკა-პროცედურებს.

მიკრობანკის მართვის სტაბილურობისა და გამართული ფუნქციონირებისთვის მკაცრად არის გამიჯნული უფლებამოსილებები საზედამხებდელ, ადმინისტრაციულ და მარკეტინგულ ორგანოებს შორის. ამ ორგანოების ფუნქციები სრულად უზრუნველყოფს კომპანიის მართვას და გამორიცხავს დუბლირებას.

მიკრობანკის მართვის ძირითადი ორგანოებია:

- აქციონერთა საერთო კრება;
- სამეთვალყურეო საბჭო;
- დირექტორატი.

2.2.1. აქციონერთა საერთო კრება

აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს ემბისის უმაღლეს მმართველობით ორგანოს. აქციონერთა საერთო კრების უფლებები განსაზღვრულია კომპანიის წესდებით და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. აქციონერთა საერთო კრება:

- იღებს გადაწყვეტილებას კომპანიის წესდებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ;
- იღებს გადაწყვეტილებას კომპანიის აქციების ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გატანის შესახებ;
- იღებს გადაწყვეტილებას კომპანიის აქციებისა და სხვა საკუთარი ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის წესების შესახებ;
- ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს, ამტკიცებს მის (მათ შორის, საბჭოს კომიტეტ(ებ)ის) ბიუჯეტს;
- ამტკიცებს კომპანიის წლიურ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშს;
- იღებს გადაწყვეტილებას კომპანიის წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ;
- იღებს გადაწყვეტილებას კომპანიის კაპიტალის ზრდის/შემცირების შესახებ;
- იღებს გადაწყვეტილებას კომპანიის სამართლებრივი სტატუსის ცვლილების, სხვა ორგანიზაციასთან შერწყმის, ან მისი ლიკვიდაციის შესახებ;
- იღებს გადაწყვეტილებას სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო/საარბიტრაჟო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმოადგენლის დანიშვნის ჩათვლით;
- ამტკიცებს დებულებას კომპანიის „კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ“;
- ამტკიცებს დებულებას კომპანიის „კორპორაციული ეთიკის შესახებ“;
- იღებს გადაწყვეტილებებს წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

აქციონერთა საერთო კრება წარმართავს ორი სახის სხდომას: აქციონერთა წლიურ (მორიგ) საერთო კრებას და აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებას. 2024 წლის განმავლობაში ჩატარდა ერთი მორიგი და სამი რიგგარეშე კრება. გარდა ყოველწლიურად განსახილველი საკითხებისა (აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება, ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდის გადახდის საკითხის გადაწყვეტა და სხვ.), აქციონერთა კრების მიერ მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო კომპანიის მიერ მიკრობანკის ლიცენზიის მიღების პროცესს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების კანდიდატების განსაზღვრას.

2.2.2. სამეთვალყურეო საბჭო

მიკრობანკის საქმიანობას ზედამხედველობს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც არჩეულია აქციონერთა საერთო კრების მიერ. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები ემბისის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებზე, ხელმძღვანელობს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას და ანგარიშვალდებულია აქციონერთა საერთო კრების წინაშე.

კომპანიის შიდა პოლიტიკა-პროცედურებით მკაფიოდ არის განსაზღვრული საბჭოს ვალდებულებები, ფუნქციები და პასუხისმგებლობები. ამავე დოკუმენტებით რეგულირდება საბჭოს საქმიანობა, მათ შორის, ინტერესთა კონფლიქტის მართვა, საბჭოს წევრების დანიშვნისა და გათავისუფლების წესები და სხვა.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისაგან: ტარას ნიჟარაძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე; მურმან ამბროლაძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; ვალერი ჩეჩელაშვილი - დამოუკიდებელი წევრი, ხელმძღვანელობს აუდიტის კომიტეტს.

2025 წლიდან, მიკრობანკის ლიცენზიის მიღების პარალელურად, განხორციელდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ცვლილება შემდეგნაირად: მურმან ამბროლაძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე; ვალერი ჩეჩელაშვილი - უფროსი დამოუკიდებელი წევრი, უხელმძღვანელებს აუდიტის კომიტეტს; სოფიო ცხვიტავა - დამოუკიდებელი წევრი, უხელმძღვანელებს რისკების მართვის კომიტეტს. შესაბამისად, 2025 წლიდან სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის 33%-ს (ერთი წევრი) ქალი წარმოადგენს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობას მიკრობანკი განსაზღვრავს „მიკრობანკების კორპორაციული მართვის“ კოდექსით დადგენილი მოთხოვნებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული კითხვარის შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დამოუკიდებლობის დასადგენად მიკრობანკი თანმიმდევრულად შეაფასებს კანდიდატის მიერ ობიექტური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და „მიკრობანკების კორპორაციული მართვის“ კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად მიჩნევისთვის დადგენილ მოთხოვნებთან მის შესაბამისობას, კერძოდ, კანდიდატის დამოუკიდებლად მიჩნევისთვის, მიკრობანკი გაითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს:

- უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აქვს ნათესაური კავშირი მიკრობანკის ან/და ჯგუფში შემავალი საწარმოების ადმინისტრატორებთან, ასევე პირ(ებ)თან, რომელიც მიკრობანკში ან/და ჯგუფში შემავალ რომელიმე საწარმოში პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მნიშვნელოვან წილს;
- უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აწარმოებს/აწარმოებდა ბიზნესს ან/და აქვს/ჰქონია სხვა სახის მატერიალური საქმიანი ურთიერთობა მიკრობანკის ან/და ჯგუფში შემავალი საწარმოების ადმინისტრატორებთან ან/და პირთან, რომელიც მიკრობანკში ან/და ჯგუფში შემავალ საწარმოში პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მნიშვნელოვან წილს;
- აქვს რაიმე სახის მატერიალური ვალდებულება (მათ შორის, ფინანსური) მიკრობანკის/მისი ადმინისტრატორების/მიკრობანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერის წინაშე ან/და სხვა მატერიალური/ფინანსური ინტერესი (მათ შორის, საკუთრება, ინვესტიცია) მიკრობანკში ან/და ჯგუფში შემავალ საწარმოებში (გარდა მიკრობანკის ან/და ჯგუფში შემავალი საწარმოების აქციების 2%-ზე ნაკლები წილის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფლობისა);
- უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჰქონდა პროფესიული ან/და სხვა სახის სამუშაო ურთიერთობა (მათ შორის, საქმიანი მომსახურების გაწევა) მიკრობანკთან ან/და ჯგუფში შემავალ საწარმოებთან/მის ადმინისტრატორებთან/მნიშვნელოვანი წილის მფლობელ აქციონერთან (აღნიშნული კრიტერიუმი არ ზღუდავს იმ შემთხვევებს, როდესაც სახეზეა არააღმასრულებელ პოზიციაზე საქმიანობა/არააღმასრულებელი ფუნქციების შესრულება);
- იღებს რაიმე სახის სხვა დამატებით ანაზღაურებას მიკრობანკისგან, გარდა ფიქსირებული ანაზღაურებისა ან/და დივიდენდისა, რომელიც უკავშირდება სამეთვალყურეო საბჭოს

წევრობას ან/და აქციების ფლობას (მიკრობანკის აქციების 2%-ზე ნაკლები წილის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფლობა);
აქვს სხვა ისეთი სახის ურთიერთობა, პოზიცია ან/და კავშირი, რომელიც შესაძლოა, გავლენას ახდენდეს პირის დამოუკიდებლობაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს მთავარი პასუხისმგებლობაა აქციონერთა უფლებებისა და მათი კაპიტალის დაცვა, ასევე მიკრობანკის საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა. ამასთან, საბჭოს ფუნქციებში შედის ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცება, აღმასრულებელ ორგანოებზე ზედამხედველობის განხორციელება და ჯანსაღი კორპორაციული გარემოს დამყარებასა და შენარჩუნებაში მათი როლის მუდმივი შეფასება. საბჭო ასევე უზრუნველყოფს ეფექტიანი შიდა კონტროლისა და რისკების მართვისთვის სათანადო პირობების არსებობას, ახორციელებს მიკრობანკის ანაზღაურების სისტემის მონიტორინგს, ამტკიცებს განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას, რისკ-აპეტიტს, ბიუჯეტს და აკონტროლებს მათ შესრულებას.

სამეთვალყურეო საბჭოს (კომიტეტის) სხდომები ტარდება, სულ მცირე, კვარტალში ერთხელ. 2024 წელს ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 12 კრება, რომელთა მიმდინარეობისას უზრუნველყოფილი იყო წევრთა სრული დასწრება. კრებებზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა კომპანიის წლიური ბიზნეს გეგმის დამტკიცება, გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა, კვარტალური ანგარიშების განხილვა; კომპანიის ძირითადი მაჩვენებლების, ასევე, შიდა აუდიტის საქმიანობის მიმოხილვა და სხვა.

2025 წლიდან, მიკრობანკის ლიცენზიის მიღების პარალელურად, სამეთვალყურეო სხდომის ოქმები და სხდომაზე გამოყენებული სხვა დამატებითი დოკუმენტაცია სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში უნდა მიეწოდოს საქართველოს ეროვნულ ბანკს.

ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს (კომიტეტების) წევრების პროფესიული გამოცდილების შესახებ:

• **ტარას ნიჟარაძე**

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ტარას ნიჟარაძე, 2012 წლიდან გახლავთ სს მიკრობანკი „ემბისის“ პარტნიორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. 1990 წლიდან იგი აქტიურად მოღვაწეობს ბიზნესის სფეროში - არის საბანკო, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებისა და ენერგეტიკის სფეროებში მოღვაწე კერძო კომპანიების დამფუძნებელი და მენეჯერი. 1998 - 2012 წლებში ტარას ნიჟარაძე იყო სს "ბაზისბანკის" ერთ-ერთი აქციონერი, ამავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და შემდგომ თავმჯდომარე. 2006 წლიდან იგი არის შპს. "ენერგო-არაგვის" თანადამფუძნებელი და დირექტორი, სათავეში უდგას ჰიდროენერგეტიკის სფეროში განხორციელებულ ერთ-ერთ წარმატებულ პროექტს საქართველოში. 1986 წელს ტარას ნიჟარაძემ დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და მიიღო ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი ნახევარგამტარების ფიზიკის სპეციალობით. მან სამეცნიერო კარიერა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბაზაზე არსებულ სტრუქტურული კვლევების რესპუბლიკურ ცენტრში - მეცნიერ-მკვლევარის თანამდებობაზე დაიწყო.

• **მურმან ამბროლაძე**

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

მურმან ამბროლაძე 2014 წლიდან გახლავთ ემბისის პარტნიორი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2025 წლიდან კი იკავებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციას.

1993 წელს, გია პეტრიაშვილთან ერთად, დააფუძნა კომერციული ბანკი - სს "ბაზისბანკი" და წლების მანძილზე იყო მისი დირექტორი, ხოლო 2008-2012 წლებში გახლდათ სს "ბაზისბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

2012 წლიდან დღემდე ამბროლაძე შპს "ამბრო-სოფთის" დამფუძნებელი და დირექტორია.

მურმან ამბროლაძეს აქვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის და დოქტორის ხარისხი მათემატიკის განხრით და არის რიგი სამეცნიერო ნაშრომების ავტორი. მან სამეცნიერო და პედაგოგიური კარიერა თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრაზე დაიწყო.

• ვალერი ჩეჩელაშვილი

სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე

ვალერი ჩეჩელაშვილს დამთავრებული აქვს კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მიმართულებით და აქვს საერთაშორისო ეკონომიკის დოქტორის ხარისხი.

1989 წლიდან იგი დიპლომატიური ურთიერთობების სფეროში მოღვაწეობდა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ეკავა სხვადასხვა თანამდებობები - მეორე მდივნიდან მინისტრის მოადგილის პოზიციამდე. 2005 წელს ვალერი ჩეჩელაშვილი იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ხოლო 2005-2007 წლებში მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა.

1994-1998 წლებში იგი იყო საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში, ხოლო 2004-2005 წლებში რუსეთის ფედერაციაში. 2000-2004 წლებში ჩეჩელაშვილს ეკავა გენერალური მდივნის პოზიცია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში, ხოლო 2007-2016 წლებში - გენერალური მდივნის პოზიცია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციაში.

2000-2004 წლებში, როგორც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის გენერალური მდივანი, იგი მონაწილეობდა შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წესდების შესაბამისად მისი აფილირებული ორგანო) მმართველთა საბჭოს მუშაობაში.

2002-2012 წლებში იყო სს "ბაზისბანკის" აქციონერი.

2016 წლიდან ვალერი ჩეჩელაშვილი არის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. იგი დაჯილდოებულია სხვადასხვა მედლითა და ორდენით და ასევე, გახლავთ რამდენიმე ათეული პუბლიკაციის ავტორი რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში.

2025 წლიდან სამეთვალყურეო საბჭოს შემოუერთდება სოფიო ცხვიტავა, როგორც დამოუკიდებელი წევრი და უხელმძღვანელებს რისკების მართვის კომიტეტს:

• სოფიო ცხვიტავა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რისკების მართვის კომიტეტის თავმჯდომარე

სოფიო ცხვიტავას 2005 წელს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მიენიჭა ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის მიმართულებით, ხოლო 2007 წელს მიიღო ამავე უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი.

პროფესიული კარიერის ადრეულ ეტაპზე სოფიო ცხვიტავა საქმიანობდა კომპანია „მედინსერვში“, სადაც აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო ბაზარზე ბიზნეს პარტნიორობთან ურთიერთობის დამყარებასა და განვითარებაში. 2006 წლიდან მუშაობდა „პროკრედიტ ბანკში“ სხვადასხვა

პოზიციებზე: 2007 წლიდან იკავებდა AML ოფიცრის ადგილს, ხოლო 2010 წლიდან - უფროსი AML ოფიცრის პოზიციას. 2013-2018 წლებში იყო ამავე ბანკის გამოცდილი აუდიტორი.

2018 წელს სოფიო ცხვიტავა შეუერთდა ემბისის გუნდს და 2019 წლის მარტამდე ეკავა საოპერაციო რისკების მენეჯერის თანამდებობა. 2019-2024 წლებში ცხვიტავა იკავებდა FINCA Network Support B.V-ის ფინკა ჯგუფის შესაბამისობის ოფიცრის თანამდებობას, ხოლო 2024 წლიდან დღემდე არის ფინკა ჯგუფის შესაბამისობის უფროსი მენეჯერი.

სოფიო ცხვიტავას აქვს მრავალწლიანი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება საბანკო და მიკროსაფინანსო მიმართულებით. 2023 წლიდან დღემდე იგი აქტიურად უწევს საკონსულტაციო მომსახურებას სხვადასხვა ორგანიზაციებს.

2.2.3. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები

მიკრობანკში სამეთვალყურეო საბჭოს ქვეშ ფუნქციონირებს აუდიტის და რისკების მართვის კომიტეტები. კომიტეტების მანდატი, საქმიანობის მიმართულებები, სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგების წესი, კომიტეტების წევრთა ინდივიდუალური როლი და პასუხისმგებლობები კომიტეტების დებულების შესაბამისად განისაზღვრება.

2.2.3.1. აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტის მთავარი მიზანია ორგანიზაციის გამართული, გამჭვირვალე და ეფექტიანი შიდა კონტროლის, რისკების მართვისა და ანგარიშგების სისტემების უზრუნველყოფა, რაც ემსახურება დაინტერესებული მხარეების ნდობის გაძლიერებას და ზედამხედველობითი ფუნქციებში სამეთვალყურეო საბჭოს ეფექტიან მხარდაჭერას.

კომიტეტი ახორციელებს შიდა კონტროლის სისტემის მონიტორინგს და უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობის კანონმდებლობასა და რეგულაციებთან შესაბამისობას. აუდიტის კომიტეტის ფუნქციონირება სამეთვალყურეო საბჭოს საშუალებას აძლევს მიიღოს სანდო ინფორმაცია, რაც საფუძვლად უდევს ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას.

2.2.3.2. რისკების მართვის კომიტეტი

„მიკრობანკების კორპორაციული მართვის კოდექსის“ მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის (ყველა მიკრობანკი, მიუხედავად მათი ზომის, კომპლექსურობისა და საქმიანობის მასშტაბებისა, ვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან შექმნას სულ მცირე, აუდიტისა და რისკების მართვის კომიტეტები) მოთხოვნასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, 2024 წლის დეკემბრიდან, მიკრობანკის ლიცენზიის მიღებასთან ერთად, ემბისიში, სამეთვალყურეო საბჭოს ქვეშ, რისკების მართვის კომიტეტი შეიქმნა.

რისკების მართვის კომიტეტის უმთავრესი მისიაა ორგანიზაციაში რისკზე დაფუძნებული მართვის კულტურის დამკვიდრება და რისკების მართვის ინტეგრირებული, მდგრადი და ეფექტიანი სისტემების უზრუნველყოფა. სამეთვალყურეო საბჭოს მხარდაჭერის მიზნით, კომიტეტი ზედამხედველობს და აფასებს შემდეგ საკვანძო ასპექტებს: ორგანიზაციის რისკ-აპეტიტის განსაზღვრა; რისკის მართვის მარეგულირებელი პოლიტიკების, სტანდარტებისა და პროცედურების სტრუქტურული გამართულობა და ადეკვატურობა; კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიების ეფექტიანობა; საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო, რეპუტაციული, ESG და

სხვა სახის რისკების ეფექტიანი მართვის პროცესები; რისკებთან დაკავშირებული ანგარიშგების სისტემის გამართულობა, მათ შორის პილარ 3-ის ანგარიშგების პროცესი და ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი) საკითხების ანგარიშგების მონიტორინგი.

2.3. დირექტორატი

ემბისის ყოველდღიურ ოპერაციულ მართვას ხელმძღვანელობს დირექტორატი, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის სტრატეგიული მიზნების წარმატებით განხორციელებაზე. დირექტორატის თითოეული წევრი კოლექტიურად აგებს პასუხს მიკრობანკის საქმიანობაზე სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, რომელიც, თავის მხრივ, ნიშნავს დირექტორატის შემადგენლობას.

სხვა საკვანძო ფუნქციებთან ერთად, დირექტორატი უზრუნველყოფს ორგანიზაციის ბიზნეს სტრატეგიების აღსრულებას, ქმნის და ამკვიდრებს ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვის ეფექტიან სისტემებსა და რისკის კულტურას, ზედამხედველობს ბიზნეს პროცესებსა და შიდა კონტროლს, ასევე რეგულარულად აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

გარდა ამისა, დირექტორატი პასუხისმგებელია მიკრობანკის თანამშრომელთა ფუნქციური მოვალეობების განაწილებასა და ეფექტიანი მმართველობის სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე, რაც უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტებს კომპანიის შიგნით.

მიკრობანკის დირექტორატი შედგება 4 წევრისგან - გენერალური დირექტორი, გაყიდვების დირექტორი, საოპერაციო დირექტორი და რისკების დირექტორი. დირექტორატის წევრების დანიშვნის წესს, ვადებსა და საქმიანობის რეგლამენტს საქართველოს კანონმდებლობა, მიკრობანკის წესდება და დირექტორატის დებულება ადგენს.

ემბისი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მმართველობით ორგანოებში გენდერულ და ეთნიკურ მრავალფეროვნებას, ასევე სამუშაო გამოცდილების მრავალფეროვნებას. კომპანია თანამშრომლებისა და ხელმძღვანელი პოზიციების დაკომპლექტებას ახორციელებს სამუშაო გამოცდილების, განათლების, პროფესიული ცოდნისა და საჭირო უნარების გათვალისწინებით. დირექტორატის შემადგენლობაში გენდერული თანასწორობა დაცულია, რაც გამოიხატება ოთხ წევრს შორის ორი ქალის (50%) წარმომადგენლობით.

ინფორმაცია დირექტორატის წევრების პროფესიული გამოცდილების შესახებ:

- **გია პეტრიაშვილი**

გენერალური დირექტორი

გია პეტრიაშვილმა, საბანკო სფეროში მრავალწლიანი გამოცდილების შემდეგ, 2012 წელს დააფუძნა კომპანია ემბისი და დაარსების დღიდან იკავებს გენერალური დირექტორის პოზიციას, 2017 წლიდან კი არის ამავე ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

1993 წლიდან გია პეტრიაშვილი გახლდათ სს "ბაზისბანკის" დამფუძნებელი და სამეთვალყურეო საბჭოს პირველი თავმჯდომარე, ხოლო 1998-2012 წლებში იყო ამავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

1999 წლიდან იგი საქმიანობდა OPIC-ის მიერ დაფინანსებულ საინვესტიციო ფონდში - "კავკასიის ფონდი", 1999-2002 წლებში კი, გახლდათ LLC Caucasus Advisors-ის თბილისის ოფისის დირექტორი.

2002-2005 წლებში გია პეტრიაშვილი იყო შპს "გასართობი ცენტრი მეიდანის" დამფუძნებელი და მმართველი დირექტორი. 2006-2009 წლებში კი დააფუძნა და ხელმძღვანელობდა უძრავი ქონების საინვესტიციო კომპანიას - შპს "სოლო-ლაკი ინვესტორს".

გია პეტრიაშვილს აქვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრისა და დოქტორის აკადემიურ ხარისხი თეორიული და მათემატიკური ფიზიკის განხრით. სამეცნიერო კარიერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში მეცნიერ-მკვლევრის პოზიციაზე დაიწყო. ასევე იყო მოსკოვის ბირთვული კვლევების ინსტიტუტის მოწვეული მეცნიერ-თანამშრომელი.

• გიორგი ღვალაძე

გაყიდვების დირექტორი

გიორგი ღვალაძე ემბისის გაყიდვების დეპარტამენტს 2013 წლიდან ხელმძღვანელობს. მას საბანკო-საფინანსო სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. 2005 წელს კარიერა დაიწყო "ბანკ კონსტანტაში" - დაკრედიტების ექსპერტის პოზიციაზე, მოგვიანებით კი ფილიალის მმართველის, მინი და მინი-აგრო მიმართულებების ხელმძღვანელის პოზიციები ეკავა.

გიორგი ღვალაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და აქვს ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკის განხრით. 2006 წელს მას კავკასიის აკადემიურ ცენტრში (CAC) ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი (MBA) მიენიჭა, 2014 წლიდან კი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.

• ეთერ ჩაჩიბაია

საოპერაციო დირექტორი

2013 წლიდან ეთერ ჩაჩიბაია ემბისის გუნდის წევრია. მისი, როგორც ოპერაციების დირექტორის საკურატორო სფეროში შედის შემდეგი მიმართულებები: ცენტრალიზებული ბექ-ოფისი, სატელეფონო და დისტანციური მომსახურება, მარკეტინგი, ადამიანური რესურსების მართვა, პიარი და კორპორაციული მდგრადობა, ლოგისტიკა და შესყიდვები, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მომხმარებელთა გამოცდილების მართვის მიმართულებები.

მრავალი წლის განმავლობაში ეთერ ჩაჩიბაია დასაქმებული იყო სს "ბაზისბანკსა" და "HSBC-ბანკ საქართველოში" - საოპერაციო, საცალო და კორპორაციული მომსახურებების მიმართულებით. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს იგი საქმიანობდა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და არასამთავრობო სექტორში. ეთერ ჩაჩიბაია აქვს საერთაშორისო ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი.

• ნინო დევდარიანი

რისკების დირექტორი

ნინო დევდარიანი ემბისიში რისკების დირექტორის პოზიციას 2016 წლიდან იკავებს და ხელმძღვანელობს როგორც საკრედიტო რისკების, საოპერაციო რისკების და AML, ინფორმაციული უსაფრთხოების, იურიდიულ, ფინანსური ანგარიშგების, ინვესტირებათა ურთიერთობის, პრობლემური აქტივების მართვისა და უძრავი ქონების შეფასების მიმართულებებს.

2008-2013 წლებში იგი საქართველოს ეროვნულ ბანკში მუშაობდა საერთაშორისო რეზერვების რისკების მართვისა და კონტროლის განხრით, 2014-2016 წლებში კი საქართველოს ფინანსთა სამინისტროში საქმიანობდა სახელმწიფო ვალის რისკების მართვის მიმართულებით.

ნინო დევდარიანს აქვს Williams College-ის (აშშ) მაგისტრის ხარისხი (2014) და არის მსოფლიო ბანკის სტიპენდიატი.

3. რისკების მართვა

რისკების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა და ძირითადი პრინციპები
რისკების მართვის პროცესში ჩაბმულია ემბისის ყველა თანამშრომელი, რაც რისკის მართვის სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ხელს უწყობს კომპანიის კორპორაციულ მდგრადობას. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს მკაფიოდ აქვს განსაზღვრული მისი ინდივიდუალური როლი და პასუხისმგებლობა რისკების მართვის ნაწილში, რაც პროცესების ეფექტიანობას უზრუნველყოფს. რისკების მართვის სისტემა თანხვედრაშია მიკრობანკის სტრატეგიასთან და ხელს უწყობს სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

რისკების მართვის პროცესში მკაფიოდ არის განაწილებული უმაღლესი მენეჯმენტის როლი და ინდივიდუალური პასუხისმგებლობები, რაც ხელს უწყობს მიკრობანკის სტრატეგიული მიზნების სიცხადესა და მათ შესაბამისობას მიკრობანკის რისკის აპეტიტთან.

- **სამეთვალყურეო საბჭო** რისკების მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს, რომელიც კომპანიის სტრატეგიას განსაზღვრავს და მასში გაწერილი მიზნების შესრულებას უწევს ზედამხედველობას. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია რისკების კულტურის საუკეთესო პრაქტიკის წახალისებაზე და თანამშრომელთა შორის ეფექტური კომუნიკაციის, კონსტრუქციული დისკუსიისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობის უზრუნველყოფაზე.

აუდიტის კომიტეტი. სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტი, სხვა ფუნქციებთან ერთად, პასუხისმგებელია:

- განსაზღვროს შიდა კონტროლის საკითხებთან მიმართებით მიკრობანკის მიდგომები;
- მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური ანგარიშგების პროცესებს და დამტკიცოს გამოსაქვეყნებელი ფინანსური ანგარიშგებები;
- მონიტორინგი გაუწიოს და აქტიურად ითანამშრომლოს მიკრობანკის შიდა და გარე აუდიტორებთან;
- მონიტორინგი გაუწიოს მიკრობანკის სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას;
- განიხილოს მესამე პირთა მოსაზრებები მიკრობანკის რისკების მართვის მთლიანი ჩარჩოსა და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობისა და სტრუქტურის თაობაზე;
- მონიტორინგი გაუწიოს პილარ 3-ის ანგარიშგების პროცესს, მათ შორის, ESG საკითხების ანგარიშგებას.

რისკების მართვის კომიტეტი. 2024 წლის დეკემბერში, მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღებასთან ერთად, კომპანიაში სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე შეიქმნა რისკების მართვის კომიტეტი. კომიტეტმა, რისკების მართვის მიმართულებით, შემდეგი მნიშვნელოვანი ფუნქცია-მოვალეობები შეითავსა:

- განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ქრილში და აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის, მიკრობანკის მიმდინარე და მომავალ რისკის აპეტიტზე;
- აშზადებს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშგებას მიკრობანკში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს მიკრობანკის რისკის პოლიტიკებს, სულ მცირე, ყოველწლიურად;
- მონიტორინგს უწევს დირექტორატს, რამდენად სათანადო პროცედურების დაცვით ხდება დირექტორატის მხრიდან მიკრობანკის საქმიანობის რისკის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- თანამშრომლობს და მონიტორინგს უწევს რისკების დირექტორის საქმიანობას;

- რეკომენდაციას აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკების ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე;
- მონიტორინგს უწევს კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიებს, ასევე ყველა სახის რისკს, როგორებიცაა: საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და რეპუტაციული რისკები, იმისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი რისკის აპეტიტთან შესაბამისობა;
- განიხილავს სხვადასხვა შესაძლო სცენარს, მათ შორის, სტრესსცენარებს, რათა შეაფასოს სხვადასხვა გარე და შიდა მოვლენის გავლენა მიკრობანკის რისკის პროფილზე;
- მონიტორინგს უწევს კლიენტებისთვის შეთავაზებული მატერიალური ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებების, მათ შორის, მათი ფასების შესაბამისობას კომპანიის ბიზნესმოდელთან და რისკის სტრატეგიასთან;
- აფასებს შიდა და გარე აუდიტორის რეკომენდაციებს და აუდიტის კომიტეტთან თანამშრომლობით, მონიტორინგს უწევს შესაბამისი ზომების განხორციელებას;
- მონიტორინგს უწევს პილარ 3-ის ანგარიშგების პროცესს (მათ შორის, ESG საკითხების ანგარიშგებას) და პასუხისმგებელია მის დამტკიცებაზე.

• **დირექტორატი** პასუხისმგებელია ბიზნესსტრატეგიების აღსრულებაზე, რისკების მართვის ეფექტური სისტემების შექმნაზე, მიკრობანკის რისკის კულტურის, პროცესებისა და კონტროლების შემუშავებასა და იმპლემენტაციაზე, წინამდებარე ამოცანების განსახორციელებლად, სამეთვალყურეო საბჭოსთან კონსტრუქციულ თანამშრომლობასა და ანგარიშგებაზე, მიკრობანკის თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილებასა და ეფექტური მმართველობის სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც მიკრობანკის შიგნით ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. რისკების მართვის სისტემების, პოლიტიკა/პროცედურების, რაოდენობრივი მოდელების შემუშავებისა და ანგარიშგების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს **რისკების დირექტორი**, რომელიც აქტიურად ახორციელებს მიკრობანკის არსებული რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას, მონიტორინგს, კონტროლსა და რეგულარულ ანგარიშგებას სამეთვალყურეო საბჭოსთან, რისკების მართვის კომიტეტთან და დირექტორატის სხვა წევრებთან.

რისკების მართვა

რისკების ეფექტიანი მართვის პროცესი მოიცავს რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას, სასურველი დონის დადგენას, მონიტორინგს და რისკების მიტიგაციის ქმედებების განხორციელებას, იმ შემთხვევაში, თუ ის სცილდება მიკრობანკის მიერ დადგენილ საზღვრებს. მატერიალური რისკების იდენტიფიკაცია/გადასინჯვა ხორციელდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, ამასთან, დამატებითი გადასინჯვის საჭიროება შესაძლოა წარმოიშვას ისეთი გარემოებების არსებობისას, რომელთაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ მიკრობანკის საქმიანობასა და რისკების პროფილზე.

რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის მიზანია:

- არსებული რისკებისა და საფრთხეების დროული იდენტიფიცირება;
- შესაძლო დანაკარგების პრევენცია;
- დამდგარი ინციდენტების ეფექტიანი მართვა;
- მიკრობანკის მიზნების მიღწევის ხელშეწყობა;
- კონტროლის სისტემის მუდმივი გაუმჯობესება;
- ოპერაციების ეფექტიანობის გაზრდა;
- მიკრობანკის კორპორაციული მდგრადობის ხელშეწყობა;

- მარეგულირებელ მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

მიკრობანკში რისკების მართვა დამყარებულია „დაცვის სამი ხაზის“ პრინციპზე, რომელიც უზრუნველყოფს ვალდებულებების და პასუხისმგებლობების გამიჯვნას, რათა მიღწეული იყოს რისკების ეფექტური მართვა, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მიკრობანკის შიდა კონტროლის ჩარჩოს გაძლიერებას. დაცვის სამხაზიანი მიდგომა აცალკევებს მფლობელობას/რისკის მართვას იმ ფუნქციებისგან, რომლებიც ახდენენ რისკების ზედამხედველობას და დამოუკიდებელ აუდიტს:

- **ბიზნესის ხაზი** - მიკრობანკის რისკების ამღებთა ხაზი, რომელიც პასუხისმგებელია პროდუქტების, საქმიანობების, პროცესების, სისტემების რისკების პირველად იდენტიფიკაციაზე, შეფასებაზე, მართვაზე, მონიტორინგსა და ანგარიშგებაზე. დაცვის პირველი ხაზი ითვალისწინებს მიკრობანკის რისკის აპეტიტს, პოლიტიკა/პროცედურებსა და კონტროლებს. ბიზნესის ხაზს რეგულარულად უტარდება ტრენინგები, კომპანიის რისკის კულტურის და რისკების მართვის პრინციპებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით;
- **დაცვის მეორე ხაზი** - რისკების მართვის და შესაბამისობის ფუნქცია, რომელიც დამოუკიდებელია დაცვის პირველი ხაზისგან და მონიტორინგს უწევს მიკრობანკის მიერ რისკების აღების პროცესებს, აფასებს რისკებსა და დაკავშირებულ საკითხებს ბიზნეს ხაზისგან დამოუკიდებლად. ამასთან, აღნიშნული ხაზი ხელს უწყობს დირექტორატის და ბიზნესხაზის მიერ რისკების სრულყოფილად იდენტიფიცირებისა და კრიტიკულად შეფასების პროცესების არსებობას. ბიზნესის ხაზის ფუნქციონირებაში წამყვანი როლი აქვს მიკრობანკის რისკების დირექტორს. რისკების პირველადი იდენტიფიცირების პასუხისმგებლობა ბიზნესხაზს ეკისრება. შესაბამისობის ფუნქცია, რომელიც ასევე მეორე ხაზის ნაწილია, მონიტორინგს უწევს პროცესების კანონმდებლობასთან, კორპორაციული მართვის წესებთან და შიდა პოლიტიკებთან შესაბამისობას და აღნიშნულთან დაკავშირებით აწარმოებს პირდაპირ ანგარიშგებას სამეთვალყურეო საბჭოსთან და იმავე ინფორმაციას აწვდის დირექტორატს;
- **დაცვის მესამე ხაზი** - შიდა აუდიტის ფუნქცია, რომელიც დამოუკიდებელია პირველი და მეორე ხაზისგან და რისკების ეფექტური მართვის მიზნებისათვის, პასუხისმგებელია დამოუკიდებლად შეაფასოს მიკრობანკის შიდა კონტროლის სისტემის, დაცვის პირველი და მეორე ხაზების და რისკების მართვის მთლიანი ჩარჩოს თანმიმდევრულობა და ეფექტურობა, აღნიშნული მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება, სტრატეგიული და ბიზნესდაგეგმვის, ანაზღაურებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების შეფასებით.

რისკების დირექტორთან და დირექტორატის სხვა წევრებთან კონსტრუქციული თანამშრომლობით, სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს მიკრობანკის რისკების აპეტიტს. რისკის აპეტიტის ჩარჩო ითვალისწინებს ყველა მატერიალურ რისკს, რომელიც უკავშირდება მიკრობანკის პროდუქტებს, საქმიანობას, პროცესებს, სისტემებს, ოპერაციებს და სტრატეგიას და განსაზღვრავს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს/საზომებს, რომელთა საშუალებითაც მოხდება რისკის აპეტიტის ფარგლებში საქმიანობის მიკრობანკის სტრატეგიასთან შესაბამისობის შეფასება. რისკის აპეტიტი აღგენს რიცხობრივი და ხარისხობრივი რისკის ინდიკატორებს, როგორც ინდივიდუალურ, ასევე აგრეგირებულ დონეზე და მათ დასაშვებ საზღვრებს, რომლის ფარგლებშიც მიკრობანკმა უნდა წარმართოს თავისი ბიზნეს საქმიანობა და რომელთა აღების საშუალებაც აქვს მიკრობანკს არსებული კაპიტალის, რისკების მართვისა და კონტროლის მექანიზმებით, განსაზღვრული სტრატეგიის და იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც დაწესებულია აქციონერების, კრედიტორების, მარეგულირებელი ორგანოების და სხვა დაინტერესებული პირების მიერ.

რისკების აპეტიტზე დაყრდნობით მიკრობანკი შემუშავებულია რისკების მართვის საქმიანობასთან დაკავშირებული დეტალური პოლიტიკა/პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავენ რისკების მართვის სტანდარტებსა და კრიტერიუმებს, თანამშრომლების

უფლებამოსილებებსა და მოვალეობებს, მიკრობანკის რისკების ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად. რისკის აპეტიტის მენეჯმენტში ინტეგრაცია ხორციელდება:

- „ზემოდან ქვემოთ“ მიდგომით - მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია რისკის აპეტიტის განსაზღვრაზე, ხოლო დირექტორატი - დადგენილი რისკის აპეტიტის ფარგლებში რისკების კონკრეტული მაჩვენებლების დაყოფაზე, პორტფელის, სტრუქტურული ერთეულების, ბიზნესის ხაზის ან სხვა შესაბამისი ჯგუფების დონეზე და დადგენილ სპეციფიკურ რისკის მაჩვენებლებზე განაწილებაზე;
- „ქვემოდან ზემოთ“ მიდგომა - პორტფელის, სტრუქტურული ერთეულების, ბიზნესის ხაზის ან სხვა შესაბამისი ჯგუფების დონეზე და დადგენილი სპეციფიკური რისკის მაჩვენებლები აგრეგირებულ დონეზე დარდება რისკის აპეტიტს.

მიკრობანკის მატერიალური რისკებია:

- **ლიკვიდობის რისკი** - ფინანსური ბაზრის არასტაბილურობიდან გამომდინარე, ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა საკრედიტო რეიტინგის გაუარესება ან სხვა მოვლენების ნეგატიური განვითარება, მომგებიანობის შემცირება, შესაძლოა, იმოქმედოს დაფინანსების რესურსის ფასზე ან მის ხელმისაწვდომობაზე, რომელიც, თავის მხრივ, საჭიროა მიკრობანკის მომავალი დავალიანებების დასაფარად. თავის მხრივ, მიკრობანკის პარტნიორი საფინანსო ორგანიზაციების ფინანსურმა მდგომარეობამ თუ მოლოდინებმა, შესაძლოა ხელი შეუშალოს მიკრობანკის შემდგომი დაფინანსების მოპოვებაზე მოლაპარაკებების დროულად დასრულებას. ლიკვიდობის რისკი ასევე შესაძლოა წარმოიშვას მიკრობანკის კლიენტების გადახდისუნარიანობის გაუარესების შემთხვევაში, რამაც შესაძლოა ნეგატიურად იმოქმედოს მიკრობანკის ფულადი სახსრების შემოდინებაზე. ლიკვიდობის რისკის მართვას ახორციელებს მიკრობანკის ხაზინისა და უნაღდო ანგარიშსწორების განყოფილება, რომელიც ზედმიწევნით აფასებს ლიკვიდობის იმ დონეს, რომელიც მიკრობანკს სჭირდება როგორც ბიზნეს გეგმის მხარდასაჭერად, ისე სტრესული გარემოებების დასაძლევად;
- **კაპიტალის რისკი** - მიკრობანკის უნარზე, შეასრულოს კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები, შესაძლოა ზემოქმედება იქონიოს რიგმა ფაქტორებმა, მათ შორის, მიკრობანკის კონტროლს მიღმა არსებულებმა, როგორიცაა: ადგილობრივი ვალუტის არასტაბილურობა, ასევე გლობალური და ადგილობრივი ეკონომიკის შესუსტება, კაპიტალის ადეკვატურობის გაანგარიშებაში მონაწილე რისკით შეწონილი აქტივების რისკების წონების ზრდა, ასევე შიდა ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა: კაპიტალის მოზიდვის უნარი, აქტივების ხარისხის დაცემის შედეგად გამოწვეული ზარალი/რისკით შეწონილი აქტივების ზრდა ან/და შემოსავლის დონის შემცირება ან/და ხარჯების ზრდა, სუბორდინირებული სესხების (მეორადი კაპიტალი) ამორტიზაცია, იმ შემთხვევაში თუ ვერ მოხდება მათი დროული ჩანაცვლება. კაპიტალის ადეკვატურობის მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობა მუდმივად კონტროლდება მიკრობანკის ფინანსური განყოფილების მიერ და საჭიროების შემთხვევაში, წარედგინება დირექტორატს, გონივრული მართვის და შემხვედრი ქმედითი ზომების უზრუნველსაყოფად;
- **საპროცენტო განაკვეთის რისკი** - საპროცენტო განაკვეთის რისკი შეიძლება წარმოიქმნას აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობებს შორის განსხვავებით, ასევე მათი გადაფასების შედეგად. მიკრობანკის წმინდა საპროცენტო შემოსავლის შემცირებამ, შესაძლოა გამოიწვიოს მომგებიანობის შემცირება. ადგილობრივ საფინანსო სექტორში მაღალმა კონკურენციამ შესაძლოა გამოიწვიოს საპროცენტო განაკვეთების ვარდნა, რაც შეამცირებს მიკრობანკის მომგებიანობას. ამავდროულად, დაფინანსების დანახარჯები მეტწილად ეგზოგენურია და განისაზღვრება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე არსებული მდგომარეობით. მოზიდული სახსრების ფასზე, ასევე მოქმედებს ჰეჯირების განაკვეთები (აღნიშნული განაკვეთის ზრდამ შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს საპროცენტო მარჟის შემცირებაზე და მიკრობანკის მომგებიანობაზე). საპროცენტო რისკების მონიტორინგს ახორციელებს ხაზინისა და უნაღდო ანგარიშსწორების განყოფილება. ინფორმაცია, საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის და შესაბამისი ანგარიშგების ძირითადი ასპექტების შესახებ, პერიოდულად მიეწოდება დირექტორატს და სამეთვალყურეო საბჭოს;

• **საბაზრო რისკი** - მიკრობანკის სტრატეგიას არ წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობა ან სასაქონლო ინვესტიციების განხორციელება, შესაბამისად, ერთადერთ საბაზრო რისკს წარმოადგენს სავალუტო რისკი. საქართველოს ეკონომიკის უცხოურ ვალუტასთან მჭიდროდ დამოკიდებულების, ასევე, მიკრობანკის მიერ სესხების მხოლოდ ლარში გაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით, სავალუტო კურსის რყევამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მიკრობანკის ფინანსურ პოზიციაზე. მიკრობანკი ადგენს შიდა ლიმიტებს საერთო ღია სავალუტო პოზიციისთვის, რომელიც მოიცავს რეგულაციებით გათვალისწინებულ ლიმიტებს. ხაზინის და უნაღდო ანგარიშსწორების განყოფილება პასუხისმგებელია განახორციელოს საერთო ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიური მონიტორინგი, მათი დადგენილ ლიმიტთან შესაბამისობის დასადგენად და ნებისმიერი გადაჭარბების გამოვლენის შემთხვევაში, მისი გადაჭრის მიზნით, მყისიერად წარადგინოს მოხსენება მიკრობანკის დირექტორატთან. საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დარღვევის შემთხვევაში, მიკრობანკი დაუყოვნებლივ ან, უკიდურეს შემთხვევაში, საოპერაციო დღის ბოლომდე, მის აღსადგენად ახორციელებს დამაბალანსებელი სავალუტო ოპერაციებს, ამასთან მიკრობანკი ყოველდღიურად აწარმოებს საერთო ღია სავალუტო პოზიციის გაანგარიშებას თითოეული უცხოური ვალუტის ჭრილში და დადგენილი წესითა და სიხშირით შესაბამისი ანგარიშგებებს წარუდგენს საქართველოს ეროვნულ ბანკს. ამასთან, აღნიშნულ ზღვრებთან შესაბამისობის შესახებ ყოველთვიური ანგარიში წარედგინება დირექტორატს, ხოლო პერიოდულად – სამეთვალყურეო საბჭოს. მთლიანად მიკრობანკის დონეზე სავალუტო რისკის მონიტორინგი და ანგარიშგება ხორციელდება ყოველთვიურად;

• **საკრედიტო რისკი** - მიკრობანკის ძირითადი საქმიანობიდან გამომდინარე, მისთვის დამახასიათებელია საკრედიტო რისკი. რისკი გამოწვეულია ფინანსური ტრანზაქციის მონაწილე ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, რაც კონტრაგენტის ფინანსურ ზარალს იწვევს. საკრედიტო რისკის პოზიცია წარმოიშობა მიკრობანკის საკრედიტო საქმიანობის და პარტნიორებთან განხორციელებული სხვა ოპერაციების გამო, რაც იწვევს ფინანსური აქტივებისა და კრედიტთან დაკავშირებული გარებალანსური ვალდებულებების გაჩენას. ცხადია, საკრედიტო რისკი მიკრობანკებისა და საზედამხედველო ორგანოებისთვის უმნიშვნელოვანესი რისკია. მიკრობანკის საკრედიტო სტრატეგია დივერსიფიცირებული და მომგებიანი საკრედიტო პორტფელის შექმნა და ამასთან მაქსიმალური ხარისხის შენარჩუნებაა. საკრედიტო რისკების მართვის მიზნით გამართული პოლიტიკა/პროცედურების შემუშავებაზე, ინდივიდუალური ტრანზაქციების დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების მისაღები რისკის დონის ფარგლებთან შესაბამისობაზე, პორტფელში არსებული საკრედიტო რისკების დროულ აღმოჩენაზე, გაზომვასა და მონიტორინგზე, პრობლემური აქტივების მართვის ჯგუფთან და შეფასების ჯგუფთან კოორდინირებული თანამშრომლობით, პასუხისმგებელია მიკრობანკის საკრედიტო რისკების განყოფილება, რომელიც დირექტორატის წინაშე ანგარიშგებას ყოველთვიური სიხშირით უზრუნველყოფს:

○ **მსესხებლის დეფოლტის რისკი:** მიკრობანკის საკრედიტო რისკების განყოფილება, თითოეული პროდუქტისთვის, პასუხისმგებელია დაკრედიტების სტანდარტის შესაბამისად ადგენს საკრედიტო რისკების კრიტერიუმებს. საკრედიტო კომიტეტი, აფასებს მსესხებლის საკრედიტო რისკების კრიტერიუმებთან შესაბამისობას და აანალიზებს თითოეული მსესხებლის გადახდისუნარიანობას, სესხზე გადაწყვეტილების მიღებამდე;

○ **უზრუნველყოფის რისკი:** საკრედიტო რისკების მიტიგაციის მიზნებისთვის, მიკრობანკი აქტიურად იყენებს სხვადასხვა ტიპის უზრუნველყოფას. მიღებული უზრუნველყოფის საშუალებების საბაზრო ღირებულების დადგენა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეფასების სტანდარტებზე დაყრდნობით. მიკრობანკის შეფასების ჯგუფი მუდმივად აკონტროლებს სესხებთან მიმართებით არსებული უზრუნველყოფის ბაზრების ტენდენციებს. საცალო სესხების გაცემისას, მიკრობანკი მკაცრად იცავს PTI და LTV კოეფიციენტებს, რომლებიც დადგენილია რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად, კლიენტების გადახდისუნარიანობის ანალიზის საფუძველზე, აღნიშნული კიდევ უფრო

ამცირებს საკრედიტო რისკს უძრავი ქონების ფასის შემცირების შემთხვევაში. ბიზნეს სესხების გაცემისას, მიკრობანკი მკაცრად იცავს DSCR და LTV კოეფიციენტებს, რომლებიც დადგენილია შიდა პოლიტიკა/პროცედურებით, რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად, კლიენტების გადახდისუნარიანობის ანალიზის საფუძველზე, რაც ამცირებს საკრედიტო რისკს უძრავი ქონების ფასის შემცირების შემთხვევაში;

- **სავალუტო რისკი:** რეგულაციით დადგენილი შეზღუდვის შესაბამისად მიკრობანკი სესხებს გაცემს მხოლოდ ლარში, ხოლო იმ მსესხებლების წილი, რომლებიც შემოსავლის ძირითად ნაწილს უცხოურ ვალუტაში იღებენ, მცირეა, შესაბამისად, სავალუტო რისკი პორტფელის საკრედიტო რისკებში, არამატერიალურია;

- **კონცენტრაციის რისკი:** მიკრობანკების საქმიანობის შესახებ კანონით განსაზღვრული მსესხებელზე/მსესხებელთა ჯგუფზე გასაცემი მაქსიმალური სესხის ოდენობა შეადგენს 1 000 000 ლარს. აღნიშნული მოთხოვნა ამცირებს მიკრობანკის პორტფელის მსესხებელთა ჯგუფზე კონცენტრაციის რისკებს და ხელს უწყობს პორტფელის დივერსიფიკაციას. მიკრობანკი კონცენტრაციის რისკის სამართავად დამატებით აღგენს ლიმიტებს პირველად კაპიტალთან მიმართებაში:

- მიკრობანკის რისკის პოზიცია კომერციული ბანკის/მიკრობანკის მიმართ, ან ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფის მიმართ, როდესაც ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფი მოიცავს ერთ ან მეტ კომერციულ ბანკს/მიკრობანკს;

- ყველა მსხვილი რისკის პოზიციის ჯამური ოდენობის ლიმიტი;

- ყველა დაკავშირებული მხარის, მათ შორის, მშობელი ან/და შვილობილი მიკრობანკის მიმართ, რისკის პოზიციის ღირებულების ლიმიტი.

- **საბაზრო რისკი:** მიკრობანკი განუწყვეტლივ აკვირდება ბაზრის პირობებს და განიხილავს ბაზრის ცვლილებებს, რათა შეაფასოს მისი პოზიცია ბაზრის არახელსაყრელი ეკონომიკური განვითარების პირობებში. საკრედიტო რისკების განყოფილების მიერ უწყვეტად მიმდინარეობს პორტფელის ხარისხის ანალიზის პროცესი, რაც საშუალებას იძლევა ადრეულად მოხდეს კლიენტების გადახდისუნარიანობის შესაძლო ცვლილებების იდენტიფიცირება და პოტენციური დანაკარგებისა და რისკების შესამცირებლად, საჭირო მაკორექტირებელი ქმედებების განსაზღვრა. მიკრობანკის საკრედიტო პორტფელი სტრუქტურულად დივერსიფიცირებულია მომხმარებელთა, პროდუქტის ტიპებისა და სეგმენტების მიხედვით, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს საკრედიტო რისკი მიკრობანკის ღონეზე.

- **მაკროეკონომიკური გარემოს რისკი** - ვინაიდან, მაკროეკონომიკური რისკები არის გარეშე რისკები, რომელიც სცილდება მიკრობანკის კონტროლს, მისი მართვის ერთადერთი საშუალება არის სტრესტესტები, კაპიტალის და ლიკვიდობის დაგეგმვის საფუძველზე. მიკრობანკი ახორციელებს მაკროეკონომიკურ რისკებთან დაკავშირებულ სტრესტესტებს ადეკვატური კაპიტალის დაგეგმვის მიზნებისთვის, ამასთან, ხაზინისა და უნაღდო ანგარიშსწორების განყოფილება ახორციელებს მაკროეკონომიკური მოვლენების მონიტორინგის პროცესს, რომელიც ეფუძნება საქართველოში და ასევე მის მეზობელ ქვეყნებში განვითარებული ეკონომიკურ მოვლენებზე გულდასმით და მრავალჯერად დაკვირვებებს, რათა დროულად მოხდეს ეკონომიკური რისკის ადრეული გამაფრთხილებელი სიგნალების იდენტიფიცირება. იდენტიფიცირებული რისკები შესაბამისად აისახება კონკრეტულ სამოქმედო გეგმებში;

- **შესაბამისობის რისკი** - შესაბამისობის რისკი განისაზღვრება, როგორც მარეგულირებელი ან სამართლებრივი სანქციების რისკი, მატერიალური ფინანსური დანაკარგი ან რეპუტაციის შელახვა, რაც, შესაძლოა, გამოიწვიოს მიკრობანკის მიერ შესაბამისი კანონების, რეგულაციებისა და წესების, ეთიკისა და ქცევის კოდექსის უგულებელყოფამ, ან არასათანადო შესრულებამ. რეგულატორული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მიკრობანკში დანერგილია შესაბამისობის ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს მარეგულირებელ მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას. შესაბამისობის რისკის იდენტიფიცირებას, შეფასებას,

მონიტორინგს და პერიოდულ გადახედვას ახორციელებს მიკრობანკის შესაბამისობის ჯგუფი, რომელიც იურიდიული განყოფილების შემადგენლობაშია. სადაც ეს შესაძლებელია, მიკრობანკი ჩართულია შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავების პროცესში, მარეგულირებელ ორგანოებთან კონსტრუქციული დიალოგის ფორმით. ადგილობრივ კომერციულ ბანკებსა და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან გაფორმებული სასესიო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ფინანსური ვალდებულებების („Financial Covenants“) შესრულების მონიტორინგს, რეგულატორთან პერიოდული ანგარიშგებას და ფინანსური კოფიცირენტების მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს უზრუნველყოფენ ხაზინისა და უნაღდო ანგარიშსწორების განყოფილება და ფინანსური ანგარიშგების განყოფილება;

- **ფინანსური დანაშაულის რისკი** - ფინანსური დანაშაულის ჩადენის საშუალებები და გზები მუდმივად იცვლება, აქედან გამომდინარე, მუდმივ სახეცვლილებას განიცდის მარეგულირებელი და საზედამხედველო მოთხოვნებიც, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური დანაშაულის რისკების მართვასთან. მიკრობანკის ფულის გათეთრებასთან/ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის შიდა მარეგულირებელი ჩარჩო შექმნილია, რათა უზრუნველყოფილ იქნას, როგორც ადგილობრივ კანონმდებლობასთან, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან (ფინანსური მოქმედების სამუშაო ჯგუფის (FATF) რეკომენდაციები, ევროსაბჭოს დირექტივები) და საერთაშორისო ფინანსური სანქციების პროგრამებთან შესაბამისობა. წელიწადში ერთხელ, მიკრობანკის მასშტაბით, ხორციელდება ML/TF ორგანიზაციული რისკის შეფასება, რომელიც იგეგმება, ხორციელდება და კონტროლდება მიკრობანკის „ML/TF ორგანიზაციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიით“ გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით. ფულის გათეთრებასთან/ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის შიდა მარეგულირებელი ჩარჩოს მიკრობანკის დონეზე იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელია საოპერაციო რისკების და AML განყოფილება, ხოლო მის რეგულარულ ზედამხედველობას შიდა აუდიტი უზრუნველყოფს;

- **ადამიანური კაპიტალის რისკი** - მიკრობანკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ადამიანური კაპიტალის მართვის სტრატეგიებს და პოლიტიკას, რომელიც მოიცავს კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის, შენარჩუნების და განვითარების მიდგომებს და თავის თანამშრომლებს სთავაზობს კონკურენტული ანაზღაურების და დამატებითი ბენეფიტების პაკეტს. ადამიანური რესურსების მართვის და კორპორაციული მდგრადობის განყოფილება რეგულარულად ატარებს თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევებს, რომელთა მიზანია თანამშრომელთა ჩართულობის და კმაყოფილების ზრდა;

- **რეპუტაციული რისკი** - რეპუტაციული რისკის შერბილებისა და ბრენდის დადებითი იმიჯის შენარჩუნების მიზნით, მიკრობანკის მარკეტინგის განყოფილება მუდმივად ახორციელებს ქართულ ბაზარზე მოქმედი მედიასაშუალებების მონიტორინგს, რისი საშუალებითაც უზრუნველყოფს ოპერატიულ რეჟიმში რეპუტაციული რისკის შემცველი ყველა ფაქტორის დაიდენტიფიცირებას და მათი განეიტრალების ან/და შერბილების მიზნით, ქმედითი ნაბიჯების გადადგმას. მარკეტინგის განყოფილება პასუხისმგებელია რეპუტაციული რისკების რეგულარულ მონიტორინგზე, მათ შესახებ დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს დროულ ინფორმირებასა და რისკების აღმოფხვრის მიზნით, სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე/განხორციელებაზე. კომპანიისთვის დადებითი იმიჯისა და რეპუტაციის შექმნის მიზნით, მიკრობანკის მარკეტინგის განყოფილება პერმანენტულად ახორციელებს რიგ ქმედებებს, მათ შორის, სხვადასხვა რეიტინგულ მედიასაშუალებებში პოზიტიური შინაარსის კონტენტის განთავსებას;

- **ESG რისკი** - მიკრობანკი თავის საქმიანობაში ითვალისწინებს გარემოსდაცვით და სოციალურ ფაქტორებს, კერძოდ, დაკრედიტების და რისკების შეფასების პროცესში, არ აფინანსებს ისეთ საქმიანობებს, რომლებიც ზიანს აყენებს გარემოს ან ქმნის ეკოლოგიური დაბინძურების საფრთხეს, ან ისეთ საქმიანობებს, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის მქონე ადგილებზე. ასევე, მიკრობანკი განსაზღვრავს გარემოზე და საზოგადოებაზე შესაძლო პირდაპირ ზეგავლენებს და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა გარემოსდაცვით და სოციალურ პროექტებს.

- **საოპერაციო რისკი** საბაზისო მოვლენების მიხედვით, ოთხ ძირითად კატეგორიად იყოფა: 1. ადამიანი; 2. პროცესი; 3. სისტემა; 4. გარე ფაქტორები. მიკრობანკის საოპერაციო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საოპერაციო რისკის შეკავება სათანადო დონეზე, მიკრობანკის საქმიანობის მახასიათებლების, ბაზრების, მისი კაპიტალისა და ლიკვიდურობის პოზიციების და კონკურენტული ეკონომიკური და მარეგულირებელი გარემოს გათვალისწინებით. საოპერაციო რისკის მართვის მიზნით, მიკრობანკში დანერგილია პოლიტიკა/პროცედურების სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საოპერაციო რისკებთან დაკავშირებული როლებისა და პასუხისმგებლობების ეფექტიანი განაწილება დაცვის სამ ხაზს შორის. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, საოპერაციო რისკების და AML განყოფილება ახორციელებს დაცვის მეორე ხაზის ფუნქციას, კერძოდ, საოპერაციო რისკების იდენტიფიკაციას, კლასიფიკაციას, აღრიცხვას და შეფასებას, იდენტიფიცირებულ რისკებთან მიმართებით, რისკის მინიმიზაციის, კონტროლის მექანიზმების შემუშავებას/დანერგვას და რისკის მონიტორინგს, მიკრობანკის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად. განყოფილების მიერ განისაზღვრება საოპერაციო რისკების პრევენციის მექანიზმები, რომლებიც იწვევს როგორც საბანკო სისტემებში, ისე შიდა პოლიტიკა/პროცედურებში, ხორციელდება საოპერაციო რისკის ხასიათის მოვლენასთან დაკავშირებული რისკების აღბათობის ან/და გავლენის იდენტიფიცირება და მართვა, დგინდება მოსალოდნელი საფრთხეები და მუშავდება აღმოფხვრის მექანიზმები, ხორციელდება მატერიალური რისკების ინდიკატორების შემუშავება, დანერგვა, საჭიროების შემთხვევაში, კი მიდგომების გადახედვა, პროცესების კონტროლი. შიდა აუდიტის სამოქმედო გეგმაში მუდმივად არის გათვალისწინებული საოპერაციო რისკების კონტროლთან დაკავშირებული საკითხების შეფასება, ხოლო შედეგები რეგულარულად განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს/აუდიტის კომიტეტის დონეზე.

მიკრობანკი რეგულარულად ადარებს ერთმანეთს რისკების ლიმიტებს, საყურადღებო მაჩვენებლებს და მიკრობანკის ფაქტობრივ შედეგებს უკუტესტირების გზით, რათა შეაფასოს რისკის მართვის პროცესების სიზუსტე, ეფექტურობა და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს რიგი კორექტირებების გათვალისწინება. რისკების ლიმიტებთან და საყურადღებო მნიშვნელობებთან შესაბამისობის კონტროლი, როგორც მიმდინარე, ასევე სტრუქტურული დაშვებების პირობებში, აცდენების გამომწვევი მიზეზების ანალიზი და გამოსასწორებელი ზომების განსაზღვრა ხორციელდება რისკების მფლობელი და მაკონტროლებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ.

რისკის აპეტიტთან შესაბამისობა არის მუდმივი მონიტორინგის ქვეშ. კონტროლის ფუნქციები შესაბამის ლიმიტებს აკონტროლებენ რეგულარულად, ლიმიტის ტიპიდან გამომდინარე. დირექტორატი რისკების აპეტიტთან რაოდენობრივი შესაბამისობის ანგარიშებს იღებს ყოველთვიურად, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ წარედგინება ანგარიში, რისკის აპეტიტის დონის და ორგანიზაციის რისკის პროფილის შესაბამისობის შესახებ, წარდგენილ ანგარიშში აგრეთვე მოცემულია დარღვევების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამომწვევი მიზეზების ანალიზი, დარღვევის ხანგრძლივობის ვადის შეფასება და დარღვევების გამოსასწორებელი ქმედებები.

3.1. ეთიკის კოდექსი (რისკის კულტურის კომუნიკაციის, შემცირებისა და აღსრულების საშუალება)

დაფუძნების დღიდან ემბისიში მოქმედებს ეთიკის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს იმ ძირითად ფასეულობებსა და ქცევის ნორმებს, რომელზედაც დაფუძნებულია კომპანიის ყოველდღიური საქმიანობა. აღნიშნული კოდექსის მიზანია კორპორაციული ქცევისა და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, რაც გულისხმობს საყოველთაოდ აღიარებული მორალური წესებისა და

ზნეობრივი ნორმების პრიორიტეტულ გათვალისწინებას ბიზნეს საქმიანობის განხორციელებისას.

კოდექსში განსაზღვრული პრინციპების ზედმიწევნით გათვალისწინება და დაცვა სავალდებულოა კომპანიის ყველა თანამშრომლისთვის, ხოლო მისი აღსრულების მონიტორინგი სისტემატურად ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ეთიკის კოდექსი ხელმისაწვდომია თითოეული თანამშრომლისთვის როგორც პირველადი ადაპტაციის („ონბორდინგის“) პროცესში, ისე სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების ყველა ეტაპზე.

4. კაპიტალის ძირითადი მაჩვენებლები

ემბისის საზედამხედველო კაპიტალი შედგება შემდეგი ელემენტების ჯამისაგან: პირველადი კაპიტალი, რომელიც შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: ძირითადი პირველადი კაპიტალი და დამატებითი პირველადი კაპიტალი და მეორადი კაპიტალი (სალიკვიდაციო კაპიტალი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია მიკრობანკის მიმართ ბაზელ 3-ის შესაბამისად წაყენებული მინიმალური მოთხოვნები:

მინიმალური მოთხოვნები	2024	
პილარ 1-ის მოთხოვნები	თანხა (ლ)	კოეფიციენტი
ძირითადი პირველადი კაპიტალი	6,120,214	4.50%
პირველადი კაპიტალი	8,160,285	6.00%
საზედამხედველო კაპიტალი	10,880,380	8.00%
კომბინირებული ბუფერი	3,740,131	2.75%
კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი	3,400,119	2.50%
კონტრციკლური ბუფერი	340,012	0.25%
სისტემური რისკის ბუფერი	-	0.00%
პილარ 2-ით განსაზღვრული მოთხოვნა საზედამხედველო კაპიტალზე		
ძირითადი პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	12,796,306	9.41%
პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	15,482,400	11.38%
საზედამხედველო კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	19,052,524	14.01%

არსებული მაჩვენებლები (ლარში)	2024
ძირითადი პირველადი კაპიტალი	15,593,255
პირველადი კაპიტალი	22,582,485
საზედამხედველო კაპიტალი	25,859,368
რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	136,004,749
საზედამხედველო კაპიტალის შეფარდება რისკის მიხედვით შეწონილ პოზიციებთან	19.01%

2024 წლის დეკემბრამდე ემბისი ფუნქციონირებდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმით და აკმაყოფილებდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის დადგენილ კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს.

2024 წლის დეკემბრიდან, მიკრობანკის ლიცენზიის მიღებასთან ერთად, ემბისიმ დააკმაყოფილა მიკრობანკის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები და ყველა ბუფერის გათვალისწინებით ინარჩუნებს კაპიტალის ადეკვატურობის მაღალ ოდენობას.

5. ანაზღაურების პოლიტიკა

ემბისიში დანერგილი ანაზღაურების სისტემა ეფუძნება გამჭვირვალობის, სამართლიანობის, თანასწორობის, დამოუკიდებლობისა და კონკურენტუნარიანობის პრინციპებს.

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებისა და კონტროლის ფუნქციების დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის, თანამშრომლების ანაზღაურება არ არის დამოკიდებული იმ ბიზნეს ხაზის საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე, რომლებსაც ამოწმებენ ან მონიტორინგს უწევენ აღნიშნული თანამშრომლები.

მიკრობანკი აქტიურად ახორციელებს მოწინავე საუკეთესო პრაქტიკის მოკვლევას, საკმარისი კვალიფიკაციის, უნარებისა და გამოცდილების მქონე რესურსების მოზიდვის, კონკურენტული საკადრო პოლიტიკის, რისკების მართვის წამახალისებელი ქცევის სტიმულირებისა და ჯანსაღი კორპორაციული მართვის სისტემის დანერგვის მიზნით.

კომპანიის თანამშრომლების ანაზღაურების სისტემა, კვალიფიკაციასთან და დაკისრებულ ორგანიზაციულ პასუხისმგებლობებთან დაკავშირებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მოიცავს ფიქსირებული და ცვალებადი ანაზღაურების ფორმებს. ანაზღაურების სისტემა შესაბამისობაშია მიკრობანკის გრძელვადიან ბიზნესსტრატეგიასთან, რისკის კულტურასთან, რისკის აპეტიტთან, მიკრობანკის საქმიანობასთან, კონტროლის გარემოსა და კანონმდებლობის/საზედამხედველო მოთხოვნებთან.

თანამშრომლის ფიქსირებული ანაზღაურება განისაზღვრება მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, ხოლო ცვალებადი ანაზღაურება ეფუძნება თანამშრომლის ცვალებადი ანაზღაურების გამოუმუშავების პერიოდის საქმიანობის შედეგებს და განისაზღვრება დირექტორატის მიერ დამტკიცებული, წინასწარ შემუშავებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმების მიხედვით, ცვალებადი ანაზღაურების მარეგულირებელი მიკრობანკის შიდა ინსტრუქციის შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება შეესაბამება მათ ჩართულობას, დაკისრებულ პასუხისმგებლობებს, გაწეულ ძალისხმევასა და დროის რესურსს და მოიცავს მხოლოდ ფიქსირებულ ანაზღაურებას.

სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს კომპანიის „ანაზღაურების პოლიტიკას“, რომლითაც განისაზღვრება მოქმედი ანაზღაურების სისტემა, მასთან დაკავშირებული კონტროლის ფუნქციები, ანაზღაურების ფორმები და სახელმძღვანელო პრინციპები.

დირექტორატი პასუხისმგებელია ანაზღაურების სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებასა და მის შესაბამისობაზე მიკრობანკის საქმიანობასთან, რისკის სტრატეგიასთან, მიზნებთან, ფასეულობებთან, კანონმდებლობასთან და საზედამხედველო მოთხოვნებთან.

„ანაზღაურების პოლიტიკით“ განსაზღვრული ანაზღაურების სისტემის ადმინისტრირებას, ცვლილებების დაგეგმვასა და ინიცირებას, მიკრობანკის ადამიანური რესურსების მართვის და კორპორაციული მდგრადობის განყოფილება უზრუნველყოფს.

შიდა აუდიტი, მიკრობანკის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული თანამშრომლობით, უზრუნველყოფს ანაზღაურების სისტემის მართვის ეფექტურობისა და რეგულატორულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგს.

დასაქმების პოლიტიკა

მიკრობანკში ვაკანტურ პოზიციებზე თანამშრომელთა შერჩევის პროცესი საქართველოს „შრომის კოდექსის“ მოთხოვნათა გათვალისწინებით წარიმართება და სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებს ემყარება. კადრების მოზიდვის პროცესში ემბისი უპირობოდ იცავს თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს, რაც უზრუნველყოფს შერჩევის სამართლიან, ობიექტურ და ინკლუზიურ პროცესს ყველა კანდიდატისთვის. შერჩევა ეფუძნება მხოლოდ განათლების, პროფესიული კვალიფიკაციისა და კონკრეტული პოზიციის მოთხოვნებთან შესაბამისობის კრიტერიუმებს.

ვაკანტური პოზიციების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების მიზნით, თანამშრომელთა შერჩევის წესს, ფორმებს, ეტაპებსა და გადაწყვეტილების მიღების ვადებს დეტალურად მიკრობანკის „ვაკანტურ პოზიციებზე თანამშრომელთა შერჩევის“ ინსტრუქცია აწესრიგებს.

კომპანიის ამოცანაა განვითარებაზე ორიენტირებული ტალანტების მოზიდვა და ისეთი სამუშაო გარემოს შექმნა, სადაც თითოეული თანამშრომელი თავს იგრძნობს უსაფრთხოდ, მიღებული და დაფასებულია. ამ მიზნით, ემბისი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და პროფესიულ სასწავლებლებთან, რეგულარულად მონაწილეობს დასაქმების ფორუმებში და აქტიურად ახორციელებს მიზნობრივ მარკეტინგულ კამპანიებს.

6. ორგანიზაციული კულტურა და ფასეულობები

თანამშრომლების გუნდი ემბისის ყველაზე ღირებული აქტივია. სწორედ ადამიანები ქმნიან იმ ორგანიზაციულ კულტურას, ფასეულობებსა და შედეგებს, რომელზეც კომპანია დგას და რომლის განვითარებაზეც ყოველდღიურად აქტიურად ზრუნავს.

ორგანიზაციული კულტურის გაძლიერების მიზნით, კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტი რეგულარულად ინარჩუნებს აქტიურ კომუნიკაციას ყველა რგოლის თანამშრომელთან. ეს ურთიერთობა მოიცავს როგორც ონლაინ ფორმატს, ასევე პირისპირ შეხვედრებსა და გუნდურ შეკრებებს („თიმილდინგებს“).

გუნდის წევრების განწყობების მონიტორინგისა და ანალიზის მიზნით, კომპანია რეგულარულად ატარებს სხვადასხვა კვლევას. 2024 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად, თანამშრომლების ლოიალობის ინდექსმა (eNPS) 39%-ს მიაღწია, რაც მაღალი კმაყოფილებისა და ლოიალობის მაჩვენებელია და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კომპანიის ძალისხმევის ეფექტიანობას ჯანსაღი და პროდუქტიული სამუშაო გარემოს შექმნის მიმართულებით.

ძლიერი კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბებისა და თანამშრომელთა უწყვეტი განვითარებისთვის, კომპანიის მიერ განხორციელებულ აქტივობებს შორისაა:

თიმილდინგი

ემბისიში თიმილდინგის აქტივობები მიზნად ისახავს თანამშრომლებს შორის მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ურთიერთნდობის გაღრმავებასა და ერთიანი გუნდური სულისკვეთების განვითარებას. ღონისძიებები სხვადასხვა ფორმატით ხორციელდება – როგორც გასვლითი, ისე შიდა შეხვედრების სახით. თითოეული ღონისძიება აერთიანებს თანამშრომლებს საერთო მიზნის ირგვლივ და ქმნის გარემოს, სადაც იზრდება მოტივაცია, ჩართულობა და თანამშრომლობის კულტურა.

ჭადრაკის ჩემპიონატი

ემბისი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გუნდური სულისკვეთების გაძლიერებასა და თანამშრომლებში ინტელექტუალური დასვენების კულტურის დამკვიდრებას. ამ მიზნით, 2024 წელს კომპანიაში ჩატარდა შიდა ჭადრაკის ჩემპიონატი. ტურნირის გამარჯვებული კომპანიის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა.

ჩოგბურთის ჩემპიონატი

კომპანიაში გაიმართა შიდა ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში, რომლის ფარგლებში თანამშრომლები ოლიმპიური სისტემით შეეჯიბრნენ ერთმანეთს. შეჯიბრების შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებულები - პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასული მონაწილეები სერტიფიკატებითა და სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ.

ბავშვთა დაცვის დღე ემბისიში

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად კომპანიამ ორგანიზება გაუწია გამორჩეულად თბილ და სახალისო ღონისძიებას. ემბისიში მწვანე გარემოში უმასპინძლა თანამშრომლებსა და მათ შვილებს, სადაც პატარა სტუმრებმა მშობლებთან ერთად სასიამოვნოდ გაატარეს დრო - ითამაშეს, იცეკვეს, გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები და მიიღეს ბევრი დადებითი ემოცია.

წარმოადგენს სალექციო შეხვედრების სერიას, რომლის მიზანია თანამშრომლებისთვის საინტერესო პიროვნებებისა და სხვადასხვა პროფესიული სფეროს წარმომადგენლების მოწვევა. შეხვედრები გამოირჩევა არაფორმალური, თბილი და დინამიკური ატმოსფეროთი, რაც ხელს უწყობს მსმენელთა აქტიურ ჩართულობას, სპიკერთან დიალოგს, ცოდნის გაზიარებასა და სასიამოვნო განტვირთვას. MBC Talk ქმნის უნიკალურ სივრცეს როგორც პროფესიული განვითარებისთვის, ისე ინსპირაციის მიღებისა და ახალი იდეების გაცვლისთვის.

7. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხები

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ წარმატებული ბიზნესი ვერ იარსებობს საზოგადოებისა და გარემოს კეთილდღეობისადმი პასუხისმგებლობის გარეშე. სწორედ ამიტომ, ემბისის მუდმივად ისწრაფვის გაუმჯობესოს საკუთარი გავლენა და შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი, როგორც პოზიტიური ცვლილებების კატალიზატორმა.

ჩვენ სრულად ვაცნობიერებთ ჩვენს ზემოქმედებას ყველა დაინტერესებულ მხარეზე - საზოგადოებაზე, გარემოზე, თანამშრომლებსა და პარტნიორებზე - და მიზნად ვისახავთ ამ პროცესის სიღრმისეულ, პროფესიონალურ და შედეგებზე ორიენტირებულ მართვას. ჩვენი უპირველესი ამოცანაა მაქსიმალურად შევამციროთ ნებისმიერი პოტენციური უარყოფითი გავლენა და გავაძლიეროთ კომპანიის პოზიტიური წვლილი საზოგადოებასა და გარემოზე.

ემბისიში კორპორაციული მდგრადობისა და ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი) ფაქტორების ეფექტური იმპლემენტაციის, ასევე მიკრობანკის გრძელვადიან ბიზნეს სტრატეგიასთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სამეთვალყურეო საბჭოს.

კორპორაციული მდგრადობის სტრატეგიის, შესაბამისი მიდგომებისა და პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და მართვა, ისევე როგორც დაფინანსების პროცესში სოციალური და გარემოსდაცვითი რისკების ეფექტური მართვა, მიკრობანკის დირექტორატის კომპეტენციაში შედის.

ამასთან, კორპორაციულ მდგრადობასთან და ESG ფაქტორებთან დაკავშირებული საკითხების ყოველდღიურ მართვას უზრუნველყოფს საოპერაციო დეპარტამენტი, კერძოდ - ადამიანური კაპიტალის მართვისა და კორპორაციული მდგრადობის ჯგუფი, რომელიც ანგარიშვალდებულია საოპერაციო დირექტორის წინაშე.

მდგრად განვითარებასა და ESG საკითხებთან დაკავშირებული მართვის პრინციპები და სტრუქტურა ასახულია მიკრობანკის შიდა დოკუმენტებსა და მართვის პროცედურაში. აღნიშნული დოკუმენტების ჩამონათვალი მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით: ეთიკის კოდექსი, პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა, ფინანსური დანაშაულის და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა, რისკების მართვის პოლიტიკა და სხვა.

მიმდინარე წელს ემბისი აგრძელებს აქტიურ მუშაობას მდგრადი მენეჯმენტის მიმართულებით და მიზნად ისახავს საქმიანობის შემდგომ დახვეწასა და გაუმჯობესებას. ამ კონტექსტში, კომპანია გეგმავს ESG რისკების მართვის პოლიტიკის შემუშავებას, ESG რისკების მართვის ჩარჩოს დანერგვას და მის ინტეგრირებას არსებულ რისკების მართვის სისტემაში.

ფინანსური დანაშაულისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა

ემბისი, თავისი ეთიკური პრინციპებიდან და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი მოთხოვნებიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად მიიჩნევს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთას ყოველდღიურ საქმიანობაში.

აღნიშნული მიზნის ეფექტური განხორციელებისთვის ორგანიზაციაში დანერგილია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემის შემუშავებას, რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს, მართვასა და მინიმიზაციას.

ემბისის ყველა თანამშრომელი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დაწყებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში, ვალდებულია გაიაროს ტრენინგი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ამასთან, კომპანიაში, წელიწადში მინიმუმ ერთხელ, ტარდება ტრენინგები იმ თანამშრომლებისთვის, რომელთა ფუნქციონალური მოვალეობები მოიცავს ბიზნეს ურთიერთობების დამყარებას, საგადახდო ოპერაციების განხორციელებას, საკრედიტო რისკების შეფასებას ან შესაბამისობის კონტროლის უზრუნველყოფას.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიმართულებით გატარებული ქმედებებით, ემბისის წვლილი შეაქვს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. კერძოდ, შესაბამისი პოლიტიკის დანერგვითა და ეფექტური აღკვეთის მექანიზმების იმპლემენტაციით, კომპანია ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მე-16 მიზნის (მშვიდობა, მართლმსაჯულება და ძლიერი ინსტიტუტები) განხორციელებას.

პრო ბონო მარათონი

2024 წლის 17 აპრილს ემბისიმ „საქართველოს პრო ბონო ქსელის“ ორგანიზებულ ყოველწლიურ მარათონში მიიღო მონაწილეობა. პრო ბონო მარათონის ფარგლებში კომპანიამ კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრს გაუწია დახმარება. კერძოდ, ემბისის მარკეტინგის გუნდმა ცენტრის საკომუნიკაციო კამპანიასა და ვიზუალურ კონცეფციას იმუშავა - შემუშავდა სოციალური მედიისა და სხვა საკომუნიკაციო არხებისთვის განკუთვნილი ვიზუალური და ტექსტუალური მასალა, დამზადდა სხვადასხვა ტიპის საბეჭდი ფაილები. მარათონში 9 კომპანიის 29 პრო ბონო კონსულტანტმა მიიღო მონაწილეობა და ჯამში 7 სოციალური საწარმოსთვის დაიგეგმა საკომუნიკაციო კამპანია.

პრო ბონო ჩემპიონი

ემბისის გრაფიკული დიზაინერი, მარიამ პაპუაშვილი, საქართველოს პრო ბონო ქსელისა და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის კონკურსის - "პრო ბონო ჩემპიონი 2023"- ჯილდოს მფლობელი გახდა!

2023 წლის პრო ბონო ჩემპიონის გამოვლენა პრო ბონო საქმიანობისთვის დათმობილი დროისა და ამ მიმართულებით შესრულებული პროექტების რაოდენობის მიხედვით მოხდა.

გასული წლის განმავლობაში, მარიამ პაპუაშვილმა საზოგადოების სასიკეთოდ დაახლოებით 100 საათის პროფესიული რესურსი დახარჯა.

ემბისი 2018 წლიდან გახლავთ პრო ბონო ქსელი საქართველოს წევრი და ამ ხნის განმავლობაში, კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში, აქტიურადაა ჩართული სოციალური საწარმოებისა და სხვადასხვა სათემო ორგანიზაციების მხარდაჭერის საქმეში.

ფინანსური განათლების მხარდაჭერა

ფულის გლობალური კვირეული - ფინანსური გაკვეთილები

ფულის გლობალური კვირეულის ფარგლებში, ემბისის დესპანები ეწვივნენ საქართველოს მასშტაბით 8 სხვადასხვა სკოლას და 250-მდე მოსწავლეს ფულის დაზოგვის შესახებ საინტერესო და ინფორმაციული გაკვეთილები ჩაუტარეს.

სახალისო აქტივობას ესწრებოდნენ ზუგდიდის, გორის, ლაგოდეხის, თელავისა და თბილისის III-X კლასის მოსწავლეები. გაკვეთილების ძირითადი თემა კი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ფულის ისტორია, ფინანსური დანაზოგების უსაფრთხოება, გონივრული ხარჯვის პრინციპები და სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური საკითხები.

ფულის გლობალურ კვირეულს ყოველწლიურად 170-ზე მეტ ქვეყანასთან ერთად საქართველოც აღნიშნავს, აქტივობა საქართველოს ეროვნული ბანკის და საგანმანათლებლო პლატფორმა „ფინედუს“ ინიციატივით ხორციელდება. გლობალური კვირეულის მიზანია ახალგაზრდებსა და ბავშვებში ფულის დაზოგვის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

კონკურსები

ემბისი საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური განათლების პორტალ "ფინედუს" ინიციატივით გამართული ვიდეოკონკურსის - "ახალგაზრდები ფინანსებსა და მეწარმეობაზე" - მხარდამჭერი გახლდათ.

კონკურსი ახალგაზრდობის დღისადმი იყო მიძღვნილი და მიზნად ისახავდა, აღნიშნული სეგმენტის მოქალაქეებში, ფინანსური განათლებისა და სამეწარმეო უნარების განვითარების ხელშეწყობას.

2024 წლის 27 სექტემბერს, საქართველოს ეროვნულ ბანკში, ვიდეოკონკურსის ფინალური ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაზე დასახელდნენ გამარჯვებულები, რომელთაგანაც 3 ჟიურის, ხოლო ერთი კი მომხმარებლების რჩეული გახლდათ.

კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში, სხვა საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან ერთად, ემბისის თანამშრომლებიც შედიოდნენ.

ემბისიმ კონკურსის ორ გამარჯვებულს: III ადგილოსან ვაჩე ჩარკვიანსა და მომხმარებლების რჩეულს - თამარ ყალაბეგაშვილს, 500-500 ლარის ოდენით ფულადი ჯილდო გადასცა.

სოციალური საწარმოების მხარდაჭერა

ემბისი განაგრძობს სოციალური საწარმოების მხარდაჭერას. კომპანია ყოველწლიურად ფინანსური და არაფინანსური რესურსებით მხარს უჭერს ფონდ „აქციოს“, რომლის მისიაც სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის გზით სოციალური ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში.

ფონდის მიზანია სოციალური საწარმოების გაძლიერება როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური და გარემოსდაცვითი გავლენის თვალსაზრისით.

2024 წელს ემბისის თანამონაწილეობით ფონდმა მხარი დაუჭირა შემდეგ სოციალურ საწარმოებს და წვლილი შეიტანა მათ გაძლიერებაში:

სოციალური საწარმო „დედიკო“

„დედიკო“ მარტოხელა დედებს და მშობლებზე მზრუნველ ქალებს ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობას სთავაზობს დასაქმების, ახალი პროფესიის დაუფლებისა და პიროვნული განვითარების ხელშეწყობის გზით.

„დედიკოს“ შექმნის იდეა Covid-19 პანდემიის დაწყების შემდეგ გაჩნდა, როდესაც შექმნილი მდგომარეობით გამოწვეული კრიზისი საზოგადოების თითქმის ყველა ფენას შეეხო - განსაკუთრებით კი სოციალურად დაუცველი ჯგუფებს. აღნიშნულმა კრიზისმა გამოორჩეული გავლენა იქონია მარტოხელა დედებზე, რადგან მათ პრობლემებთან გამკლავება მეტწილად მარტო უწევდათ. „დედიკომ“ მარტოხელა დედებს ახალი პროფესიის შეძენასა და დასაქმებასთან ერთად, საჭიროებებზე მორგებული სამუშაო გრაფიკი და გარემო შესთავაზა. 2024 წელს სოციალურმა საწარმომ გააფართოვა მიზნობრივი ჯგუფი - დაიწყო შუა ხნის ქალებზე ზრუნვა, რომლებიც ასაკოვან ან შრომისუნარო მშობლებს უვლიან.

„აქციოს“ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში „დედიკოს“ დაგეგმილი აქვს როგორც ეკონომიკური საქმიანობის გაფართოება, ისე სოციალური შედეგების გაზრდა. სოციალური საწარმო გეგმავს ახალი დანადგარების შეძენას, პროდუქციის ახალი ხაზების განვითარებასა და ონლაინ მაღაზიის შექმნას.

„აქციოსთან“ თანამშრომლობის შედეგად „დედიკომ“ მიიღო ორი სახის ფინანსური მხარდაჭერა:

- გრანტს 31,600 ევროს ოდენობით;
- 0%-იანი სესხს 10,000 ევროს ოდენობით.

სოციალური საწარმო „ჩემპი“

ვაშლის ჩიფსების წარმოების ინოვაციური იდეა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში 3 მეგობარს გაუჩნდა. მათ საკუთარი ხელით ააწყვეს მცირე სამრობი დანადგარი და ინოვაციური მეთოდით შექმნეს პირველი პროდუქტის პროტოტიპი: ჯანსაღი „სნექი“ - ვაშლის ჩიფსი. ამის შემდეგ „ჩემპის“ პროდუქტმა ტესტირებისა და ექსპერიმენტირების მნიშვნელოვანი ფაზა გაიარა, 2016 წელს კი საწარმო ოფიციალურად დაფუძნდა.

„ჩემპის“ მისიაა გორის რაიონის საზღვრისპირა (საოკუპაციო ხაზთან მდებარე) სოფლების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა და უნარჩენო წარმოების განვითარება ინოვაციური ჯანსაღი „სნექების“ წარმოების გზით. ერთი მხრივ, „ჩემპი“ ხელს უწყობს ქალების დასაქმებას საწარმოში, ხოლო, მეორე მხრივ, ფერმერული მეურნეობების განვითარებას ადგილობრივი პროდუქციის შესყიდვის გზით. დამატებით, „ჩემპი“ აქტიურად მუშაობს უნარჩენო წარმოების განვითარების მიმართულებით.

„აქციოს“ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში „ჩემპის“ დაგეგმილი აქვს როგორც ეკონომიკური საქმიანობის გაფართოება, ისე სოციალური შედეგების გაზრდა. სოციალური საწარმო გეგმავს ახალი სამრობი დანადგარების შეძენას, რაც უზრუნველყოფს წარმადობის გაზრდას, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე გაყიდვების გაფართოებას.

„აქციოსთან“ თანამშრომლობის შედეგად „ჩემპი“ მიიღებს ორი სახის ფინანსურ მხარდაჭერას:

- გრანტს 40,000 ევროს ოდენობით;
- 0%-იანი სესხს 10,000 ევროს ოდენობით.

სოციალური საწარმო „ტენე“

„ტენეს“ მისიაა გარემოს პლასტმასით დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა და გარემოსდაცვით საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. „ტენე“ პირველი ქართული USB სატენის ეკომეგობრული წარმოებაა, რომელიც წარმოების პროცესში ერთჯერადი მოხმარების მეორად პლასტმასას იყენებს. USB კაბელების დამზადებასთან ერთად „ტენე“ მუდმივად მუშაობს გარემოს დაცვის ხელშეწყობი ინოვაციური პროდუქტების განვითარებაზე, როგორცაა მაგალითად, ჭიქების კოლექტორი, ბოთლის „უკუვენდინგ“ აპარატი და ა.შ.

„აქციოს“ ინვესტიციით „ტენე“ შეძლებს საწარმოში არსებული ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებასა და გაფართოებას. შედეგად, გაიზრდება საწარმოს ჩამბარებული და გამანაწილებელი პუნქტების რაოდენობა, ხოლო პლასტმასას ჩაბარების შესაძლებლობა თბილისთან ერთად გაჩნდება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

„აქციოსთან“ თანამშრომლობის შედეგად „ტენე“ მიიღებს ორი სახის ფინანსურ მხარდაჭერას:

- გრანტს 40,000 ევროს ოდენობით;
- 0%-იანი სესხს 9,990 ევროს ოდენობით.

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (COP29) მხარეთა 29-ე კონფერენცია

2024 წლის 14 ნოემბერს ემბისის რისკების დირექტორმა - ნინო დევდარიანმა მონაწილეობა მიიღო გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (COP29) მხარეთა 29-ე კონფერენციაზე გამართულ პანელურ დისკუსიაში, თემაზე: „მდგრადი დაფინანსების ტენდენციები - აღმოსავლეთ ევროპული პერსპექტივა“.

სესიის ფარგლებში განხილულ იქნა მდგრადი დაფინანსების მზარდი როლი აღმოსავლეთ ევროპაში - აღნიშნული მიმართულებით ფინანსური სექტორის აქტიური ჩართულობის მნიშვნელობა და სამომავლო გეგმები.

პანელური დისკუსიის მასპინძელი გახლდათ გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი - თურქეთის, აზერბაიჯანისა და უკრაინის ქსელებთან პარტნიორობით.